№ 143. 10 ივლისი, პარასკევი. 1866—1881 10 ივლისი, პარასკევი. № 143.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადების

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მოკვრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწრუნის თეატრში

დღეს, 10 ივლისს

ქართული დრამატიული ტრუპპის არტისტკა

## მ. ე. საფაროვისა

გამართავს წარმოდგენას

ა. მესხის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება პირველად:

I

## ქარაფშუტა

სამ-მოქმედებიანი კომედია, ფრანციცულიდამ გადმოკეთებ. ა. მესხისაგან.

II

დივერტისმენტი

სხვათა შორის ა. მესხი წაიკითხავს სცენებს იმერეთის ცხოვრებიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზედ.

---

### ახალი ამბები.

პეტერბურღის გაზეთებში („ნოვოე ვრემიაში“ და „პორიადოკში“) იწერებიან, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს კავკასიის ადმინისტრატიულ გამგეობაში ცვლილება მოახდინოსო. სხვათა შორის ამბობენ, სტავროპოლის გუბერნია სრულიად მოშორდება კავკასიასაო, იქ ცალკე ღენერალ-ღუბერნატორი დაინიშნება ისე, როგორც დანარჩენ რუსეთის გუბერნიებშიაო. კავკასიის აქეთა მხარეში, კი მთავარ-მმართებლობა მოისპობა და მაგიერად დაწესდება, როგორც თ. ბარანცოვამდინ იყო, კავკასიის მთავარ-გამგებლის თანამდებობა.

მეორეს მხრით, თუმცა ოფიციალურად ჯერ არა არის-რა გამოცხადებული, მაგრამ ქალაქში დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენში არაფერი ცვლილება არ მოხდებაო, კავკასიის მმართებლის თანამდებობის დროებით აღმ.სრულებელი, ღენ.-ადიუტ. თ. ლ. ი. მელიქოვი, ორის წლის ვადით ინიშნება კავკასიის მთავარ მმართებლის მოადგილეთაო.

* * *

ქვათა-ხევის მონასტერში შემდეგი საშინელი ამბავი მომხდარა:

29 ივნისს, წირვა რომ გამოსულა, უცბათ გაჩენილა გაგიჟებული დათვი, სცემია მონასტრის ცხენებს და ერთი დაუგლეჯია და გაქცეულა. მერე კიდევ ჩამოვარდნილა და ურბენია ეზოში. იმ დროს შეხვედრია მოხუცი ბერი 75-ის წლისა ზაიოზი დათვი ამართულა, მოუხვევია ხელები ბერისათვის და წაუქცევია, უკან კეფაზე რომ მოუკრავს ბრჭყალები, თავის-ქალის ტყავი მთლად პირზე გადმოუფარებია; მარცხენა იღლიასთან მოუკრავს ფრჩხილი და დანისავით გაუბასრავს; მარცხენა მკლავში ორ ადგილს პირი მოუჭერია და გაუხვრეტია; სახე და ხელები მთლად ჩამოუფხაჭნია.

მეორე ბერს დაუძახნია: — „არიქა უშველეთო!“ ხმა გაუგონია თუ არა, დაუნებებია თავი ამ ბერისათვის და იმ ხმისკენ გაქანებულა. ბერი შინ შევარდნილა. დათვი დასჯახებია ფანჯარას და ჩაუმტვრევია. შემდეგ გამოქანებულა იქიდგან ბიბლიოთეკის კედლის ძირისათვის მიურტყავს თავი და კედელი ჩამოუნგრევია.

სადაც თურმე ხმას გაიგონებდა, იქით გარბოდა. ისე ამღვრეული ჰქონია თვალები, სულ ვერასა ხედავდაო.

ბოლოს ავარდნილა ტყეში. იქ ყოფილა მონადირე მთიული, რომელსაც გაუტენია თოფი, ორსაც სხვას. ერთი მათგანი გალავანის წინ დამდგარა და მოურთავს ყვირილი; ამ ყვირილზე ჩამოვარდნილა დათვი და მესამეთ უსროლიათ თოფები და იქვე გაუგორებიათ.

დაკბენილებს ყველას ცოფიანის წამალი დაულევია. ის ბერი კი ისე უმოწყალოთ, უპატრონოთ არის, არც იარის გამხსნელია ვინმე, არც იმისთვის ექიმი. ცოფიანიაო, ერიდებიან, არც საავათმყოფოში გზავნიან; თუ მიაწოდებენ არაყს ან ღვინოს, გადაჰკრავს და მიწვება და თუ არა, საწყალობელი ჰყვირის.

* * *

ქუდიანი ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ მოშორებია ჩვენს ცას. მაგრამ იმის კუდს ადრინდელი სიბრწყინვალე და ძალა თან-და-თან აკლდება. თვითონ ვარსკვლავიც ჩრდილოეთ-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-სამხრეთიაკენ მირბის.

* * *

ამბობენ, რომ შინაგან სესხის უკანასკნელ ტირაჟში 200,000 მან. მომგებ ბილეთის პატრონმა სჩერბაკოვმა 175,000 მანეთად მიჰყიდა თავის ბილეთი თფილისის მდიდარს ჩითახოვსაო. სხვები კი ამტკიცებენ, რომ ამ სჩერბაკოვს სრულებითაც არ მოუგიაო, ტყუილი მოიგონეს, აქ სხვა ანგარიშები იყოვო და სხვ.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ უკანასკნელის ერთის თვის განმავალობაში ორჯერ გაუქურდავთ თფილისის რკინის გზის ვაგზალის კასსა და ორივეჯერ ხუთი თუმანი ფული ამოუღიათ დაკეტილ რკინის ზანდუკიდამ.

* * *

ქარელიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ ერთი იქაური თავადი დ. ც—ი მივარდნია ერთს მედუქნეს და თითქმის სულ უმიზეზოდ ჯერ უცემია და მერე ხანჯლით თავი გაუჩეხია იმისთვის; ამ დროსვე ერთი სხვა ც—ის ბიჭიც დაეჭრა. ამ გვარი შემთხვევები

---

«დროების» ფელტონი, 10 ივლისს.

### შვილის მოვალეობა

(თარგმანი)

ერთს საღამოს მჭედელი ლორი ცუდს გუნებაზედ იყო.

მზის ჩასვლის დროს, სამჭედლოში მუშაობას რომ გაათავებდნენ და ყველა მუშები თავ-თავიანთ ბინაზე წასვლას დააპირებდნენ, ლორის სახლში შეიკრიბებოდნენ ყველანი და სამხარსა და ლუდს შეექცეოდნენ. ლორი იმ დღეს სამჭედლოდან დიდხანს არ გამოდიოდა, და როცა შეატყობინეს სამხარი მზათ არისო, ის უგემურად გამოვიდა სამჭედლოდამ; ძლივას ფეხებს დაათრევდა...

ლორის მოხუცებულ მეუღლეს უკვირდა ქმრის დაღვრემილი სახე და თავის-თავსა ჰკითხავდა: რა ვქნა რა დამართვია?... ვაიმე თუ ცუდი ამბავი მოსვლია ჯარიდამ და მიმალავს... ჩემი შვილი ხომ არ გამხდომიათ ავათ?

ვერ ბედავდა ქმრისთვის ეკითხნა თუ რა ამბავიაო, ფთხილათ ნელნელა დადიოდა ოთახში და აჩუმებდა თავის პატარა მოყვირალე გიჟ-მაჟს, შავგვრემანს ბავშვებსა.

მჭედელი სუფრაზედ იჯდა, მაგრამ არა სჭამდა, უცფათ გადასდგა თავის თეფში და სთქვა:

— ოჰ ის საძაგლები, უსინიდისოები, ის წყეულები!!...

— ვიზედა ლაპარაკობ, ჰკითხა ცოლმა.

— ვიზედა ვლაპარაკობ, მრისხანეთ უპასუხა მოხუცმა, ვიზედა და აი იმ არ დასაცალებელს იმ ბილწ-ოხრებზედა, ამ დილას რომ ვნახე ქალაქში. იმ უსინიდისოებს ჩვენი ჯარის მუნდირები ჩაუცვამთ და ბავარლებში არც კი ირჩევიან, ისე დასეირნებენ ქუჩებში. ვიცნობ მე იმათ ვინცა ბრძანდებიან ის პრუსიის ქაჯები ისინი! მუდამ დღე ვხედავ მე ამ ცრუ ელზაელებსა, ყოვლითურთ საძაგლებს, მამულის ორგულებსა! საფრანგეთის ჯარის სალდათები იყვნენ—და ახლა კი ჩუმათ გამოქცევიან, გამოპარულან, აი ის სამშობლოს მოღალატენი ისა! ოჰ, მაგათ მე ვიცი თუ რაც მოუხდებათ!

ცოლს უნდოდა წასარჩლებოდა და სთქვა:

— რა ქნან გენაცვალე? აბა რა მაგათი ბრალია... ისე შორსა გზავნიან... აფრიკაში... ვერ გაუძლიათ იქა... აბა რა გასაკვირველია, რომ სამშობლო ქვეყნის ნახვა უნდათ, შინაურების ნახვა, აბა იმათთვის განა გასახარელი არ არის ესა, სალდათათ ყოფნის მაგიერ—შინ თავისუფლათ ყოფნა არ ურჩევნიათ!

მჭედელმა გაჯავრებით მუშტი დაჰკრა სტოლზედ!

— გაჩუმდი, დედაკაცო! აბა თქვენ რა გესმისთ ქვეყნიერებისა. თქვენი შვილები ქვეყანას გირჩევნიათ, ვინდათ, რომ ისინი გყავდეთ და ქვეყნის ბედი ფეხებზედა გკიდიათ. მე კი ამას გეუბნები დღეს რომ მე ის საძაგლები ვნახე, ისინი მოღალატე, ქვეყნის მტრები არიან.

რო ვიცოდე ჩვენი ქრისტესიაც ამისთანა საქმეს ჩაიდენს, მე არ ვიქნები მაშინ ლორი მჭედელი, უწინდელი სალდათი მსროლელი ჯარისა, თუ ჩემის ხელით არ გავუღლეწდი იმას თავსა!

აღშფოთებული და აღელვებული ამბობდა ამას ლორი, მერე მივარდა, სტაცა ხელი ხმალსა, რომლის ქვეშ თავისი შვილის დიდი სურათი იყო ჩამოკიდებული, აფრიკაში ზუავების ჯარის სალდათისა; მაგრამ ერთბაშათ დამშვიდებულს—მამაცურს ყმაწვილი კაცის სახეს, რომ შეხედა მოხუცმა, სულ სხვა გრძნობები აენთო იმას გულში.

დამშვიდდა ცოტა ხნობით და ღიმილით წარმოსთქვა:

— რა გამოყრუებული, გამოჩურჩუტებული ვყოფილვარ! რა უცნაური ფიქრები ამივარდა თავში! ვითამ და ჩემს ქრისტესიას შეუძლია ამისთანა ღალატობა! ვითამ დაუძმურდებოდა პრუსიელებს, პრუსსიელებს — რომელიც არა ერთი და არა ორი წაუბძანებია თავისი ხელით საიქიოს... მართლაც და უგუნური ფიქრები მომივიდა თავში!.. !!

მოხუცი გამხიარულდა, კიდეც შეექცა სამხარს, ორი ჯამი ლუდი დალია და გასწია ღიმილით.

დედა-კაცი მარტო დარჩა.

მეორე ოთახში მოჰიკჰიკე ბავშ-

ხშირად ხდება ჩვენში თავადიშვილებისაგანო, გვწერს კორრესპონდენტი, მაგრამ კაცი ჩივილს ვერ ჰბედავს, ეშინიანთო, რომ შემდეგში მომჩივარს უარესს დღეს დააყენებენო...

## რუსეთი

საპყრობილეების კამიტეტის თავსმჯდომარე გალკინ-ვრასსკი, მთავრობის განკარგულებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში და სახალინის კუნძულზე იგზავნება და მინდობილი აქვს, გამოიკვლიოს იქაურ საპყრობილეებისა და ტუსაღების მდგომარეობა და შეადგინოს პროექტი ამ მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

— ღენ. სკობელევი ტელეგრამმით გამოუხმიათ პარიჟიდამ პეტერბურღში.

— ყაზანის ადრინდელი ღუბერნატორი სკარიატინი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლების ტანჯვისა და უკანონოდ მოქცევისათვის, სამსახურიდამ გადაყენებულ და სამართალში მიცემული იყო, როგორც ამბობენ, ახლა ნიჟნი-ნოვგოროდში ინიშნება, მაკარიის დროს, ღენერალ-ღუბერნატორათაო და მთავრობის ბრძანებით, იმის მოქმედების შესახებ დანიშნული გამოძიება მოსპესო...

— ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, რომ აქაურ სომხებს განზრახვა აქვსთ რამდენიმე სპექტაკლი გამართონ და ამის შემოსავალი ღარიბ მოსწავლე სომხების სასარგებლოდ უნდა გადადვანო.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ახალ-არჩეულ დეპუტატთა დიდ სახალხო კრების პირველ ყრილობაზედ, როდესაც ბოლგარიის მთავარმა ალექსანდრემ გამოუცხადა კრებას—თუ რა უფლების მინიჭებას თხოულობს ის ხალხის წარმომადგენლებისაგან და თუ როგორ უნდა შეჩერდეს დროებით კონსტიტუციის ძალაო, ძნელმა კრებამ ერთ-ხმად დაიყვირა თურმე: „მიგვილია, თანახმა ვართ ყოველგვარი უფლება მოგანიჭოთო“!

არც ერთი ოპპოზიციის წევრი (მთავრის მოწინააღმდეგე) ამ კრებაზე არ დასწრებია.

კრებას მეოთხედ საათში გაუთავებია თავის ვანაჩენზე ხელის-მოწერა, რადგან, როგორც ერთი ფრანცუზული გაზეთი ამბობს, ორმა მესამედმა დეპუტატებისამ წერა-კითხვა, ხელის-მოწერა არ იციანო!...

—

**გერმანია.** პოზნანის „პოლშელ-კათოლიკეთ“ საზოგადოება პრუსიის მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ პოზნანს მიენიჭოს ცალკე მმართებლობა და ამასთანავე პოლშური ენა ყველა სასამართლოებში იყოს ოფიციალურ ენად აღიარებული.

—

**ოსმალეთი.** ტელეგრამმამ გვაცნობა, რომ ყველა ბრალდებულთ, რომელთაც ხონთქრის აბდულ-აზისის მოკვლაში მონაწილეობა მიუღიათ და რომელთაც სტამბოლის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა, სულთანმა აპატია და, სიკვდილით დასჯის მაგიერად, არაბეთში გარდასახლება გარდაუწყვიტა. მაგრამ ამბობენ, რომ ყველაზე გამოჩენილი კაცი ამათში, ოსმალეთში კონსტიტუცის შემომღები და ნამინისტრალი მითხად-ფაშა ჰკუიდამ შეიშალა ამ საქმის განხილვის შემდეგაო და თავის მოკვლა განიზრახაო.

## ქართულის ენის პროგრამმა

### პროექტი ქართულის გრამმატიკისა, შედგენილი თელავის საქალო სასწავლებლისათვის

### I კლასი (ორი გაკვეთილი).

რა არის წინადადება? რამდენი უმთავრესი წევრია წინადადებაში? რა არის ქვემდებარე? რა არის შესმენილი? როგორი არიან წინადადებანი შედგენისამებრ? რა არის მარტივი წინადადება? რა არის რთული წინადადება? როგორი არიან კიდევ წინადადებანი? რა არის გავრცელებული წინადადება? რა ჰქვიან საზოგადოთ იმ სიტყვებს, რომლებიც არიან ხოლმე წინადადებაში ქვემდებარისა და შესმენილის გარდა? რად იწოდებიან ამხსნელ სიტყვებად ესენი? რა არის დამატებითი სიტყვა? რა არის განმარტებითი სიტყვა? რა არის გარემოებითი სიტყვა?

სად იხმარება მძიმე? რა არის საგანი? როგორი არიან საგანნი?

რა არის სახელი არსებითი? რა არის ნიშანი? რა არის გარემოება? რა არის ზედ-შესრული სახელი? რა არის ზმნა? რა არის ზმნის ზედა? რა არის რიცხვითი სახელი? რა არის ნაცვალ-სახელი?

რისგან შესდგება ლაპარაკი? რა არის სიტყვა? რისგან შესდგება სიტყვა? რა არის მარცვალი? რა არის ასო? რამდენი ასოა ქართულ ანბანში? როგორ განიყოფებიან იგინი გამოთქმისა-მებრ თვისისა? როგორი არიან სიტყვანი რიცხვისა-მებრ მარცვალთა? როგორ გადაიტანება სიტყვა სტრიქონიდგან სტრიქონზედ? რა არის პროსოდია ანუ ხმის ამაღლება და დამდაბლება სიტყვაში? როგორნი არიან სიტყვანი შედგენისა-მებრ? რა არის მარტივი სიტყვა? რა არის რთული სიტყვა? რომელ ნიშანსა ჰქვიან შემაერთებელი ნიშანი? როგორნი არიან სიტყვანი წარმოებისა-მებრ? რა არის პირველ-სახე? რა არის წარმოდგომილი? რომელი სიტყვანი მიუგებენ კითხვებზედ—ვინ, რა, ვითარი, როგორი, რამდენი, მერამდენე? როგორ კითხვაზედ მიუგებს ზმნა? ზმნის-ზედა.

### II კლასი (ერთი გაკვეთილი).

როგორნი არიან სახელნი არსებითნი მნიშვნელობისა-მებრ? რა არის საზოგადო სახელი არსებითი? რა არის საკუთრებითი სახელი არსებითი? რა არის შემკრებელობითი სახელი არსებითი? როგორი არიან მნიშვნელობისა-მებრ თვისისა ზედ-შესრულნი სახელნი? რა არის ვითარებითი ზედ-შესრული სახელი? როგორნი დაბოლოებანი აქვთ ზედ-შესრულთა სახელთა? რომელთა ზედ-შესრულთა სახელთა აქვთ ხარისხნი? რამდენი ხარისხია? რა არის დადებითი ხარისხი? რა არის შეთანასწორებითი ხარისხი? რა არის აღმატებითი ხარისხი? საიდგან და როგორ წარმოსდგება შედარებითი ხარისხი? აღმატებითი ხარისხი? როგორი არიან რიცხვითნი სახელნი მნიშვნელობისა-მებრ? რა არის რაოდენობითი რიცხვითი სახელი? რა არის წესებითი რიცხვითი სახელი? რა არის შემკრებელობითი რიცხვითი სახელი? რა არის დანაწევრებითი რიცხვითი სახელი? როგორ იცნობება ნათესავი საგანთა ქართულ ენაში? რა არის კანკლედობა? რა არის ბრუნვა? რიცხვი? რამდენი ბრუნვაა ქართულ ენაში? რა არის ძირი სიტყვისა და რა არის დაბოლოება? რომელი ამ

---

ვები დააძინა, საკერავი აიღო ხელში და ბალის პირ-და-პირ კარებთან დაჯდა და ხან-და-ხან ამოიოხრებდა ხოლმე.

— მართალს კი ამბობს ჩემი მოხუცი. საძაგლები, მაწანწალა არიან ის ვილაცები, მაგრამ იმათი დედები ხომ ბედნიერები არიან შვილები გვერდთ რომ ჰყვანან! მოაგონდა თავის ქრისტესია, როცა შინ იყო, აი სწორეთ ამ ბალში მუშაობდა ხოლმე. აი ამ ჭასთან მიიყვანდა ხოლმე ცხენებს წყლის დასალევათ. თვალ წინ წარმოუდგა სეთრ პერანგა შვილი, ოქროს ფერი გძელი თმა ბეჭებზედ გადმოფენილი, ახლა კი ჯარში შესვლის დროს—მაკრატლის მახვერპლად გადაქცეული. უცბათ რაღაცაზედ შეჰკრთა. მინდვრიდამ ბალში შემოსავალი პატარა კარი გაიღო და ვილაცა შემოვიდა, ფხიზელა ძაღლები არ ჰყეფდნენ, ისე შემოიპარა ვილაცა.

— დედას გაუმარჯოს! — გაიგონა დედაკაცმა და თავის ყურებს არ დაუჯერა. ამის თვალ წინ წარმოსდგა შვილი მისი — ქრისტესია.

მუნდირი არეულ-დარეულად ეცვა, თვითონაც რაღაც შეწუხებულივით იყო, თითქო სცხვენოდაო, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ქრისტესია ელზასში მოსულა ჩუმათ, გამოპარულა ჯარიდამ იმ ამხანაგებთან, რომელთაც ამ დილას იმის მამა ლანძღავდა. შინ მოსვლა უნდოდა, მაგრამ მამისა ეშინოდა და იმ დროს ელოდა, როცა მამა შინ არ იქნებოდა. სამჭედლოში რომ ეგულებოდა მამა, მაშინ გაბედა მოსვლა.

დედას თითქო საყვედურის მიცემა უნდოდა შვილისათვის, რათ გამოიპარეო, რათ შეგვარცხვინეო, მაგრამ ველარ მოახერხა. დიდი ხანია არ უნახავს საყვარელი შვილი, არ უკოცნია იმის მშვენიერ ტუჩებზედ. დედამ გულში ათასი გასამართლებელი მიზეზები მოიპოვა შვილის გამოცევისათვის: ბავშვია, ჯერაო, მოსწყინდაო, მშობლების ნახვა მოისურვაო, სამშობლოსიო, სამჭედლოში ყოფნა მააგონდაო, აბა რა გასამტყუნარიაო, რომ ეგენი უყვარსო, აბა ასე შორს როგორ შეეძლო ეცხოვრაო და სხვა-და-სხვა... აბა ჯარში ყოფნა, იქაური სასტიკი სამსახურის ატანა განა შეიძლებაო, ვინ იცის რა ამხანაგები ყავდაო, იქნება როგორ გადაეკიდნენ, იქნება პრუსსიელიც ეგონათო— ელზასური გამოთქმა რომ აქვსო, იქნება ცუდათ ეპყრობოდნენო და აი ამისთანა მიზეზების გამოო, რა გასაკვირველია რომ გამოიპარაო.

ლაპარაკში გაერთვნენ და ოთახში შევიდნენ. ბავშვებმაც გაიღვიძეს და ფეხ-შიშველი გარბოდნენ თავიანთ სალდათი ძმის სანახავათ. დედა ეხვეწებოდა შვილს ჭამე რამეო, მაგრამ არაფერი ჭამა, მხოლოდ წყალი მოითხოვა. მთელი დღე ლუდი და ღვინო სვა დუქანში და წყურვილი ავარდნოდა. ამისთვის კარგა ბლომათ წყალი დალია.

უცბათ მჭედლის ფეხის ხმა მოისმა.

— არიქა, მამაშენი მოდის, წამოიძახა დედამ; აბა დაიმალე სადმე, შვილო. მანამ მე არას ვეტყოდე, არ ეჩვენო, თავი არ გამოჰყო, მანამ არ შევეხვეწო გაპატიოს.

ფეჩს უკან დამალა თავისი შვილი დედამ. თვითან საკერავს მიუჯდა, უნდოდა ეჩვენებინა, რომ დამშვიდებულად მუშაობს, მაგრამ ხელები, თითქო აცივებსო, ისე უკანკალებდა. საუბედუროთ სტოლზედ სალდათის ქუდი დარჩენილიყო. შემოვიდა თუ არა ლორი, მაშინვე დაინახა ქუდი, თავის ცოლის მღელვარებასაც მოჰკრა თვალი; რაც ამბავი იყო იმათ თავსა, მიხვდა მაშინვე.

— ქრისტესია აქ არის განა? შშვეღებულის ხმით დაიღრიალა, იმან და მერე მივარდა კედელზედ ჩამოკიდებულს ხმალს; ეცა სწორეთ იმ ადგილს, საცა კედელზე იყო მიყუდებული შიშით აკანკალებული და გადაფითრებული ზუავის სალდათი და უნდოდა ნაკუწ-ნაკუწათ ექცია ეს თავისი მოღალატე შვილი! დედაკაცი წამოვარდა შვილის მისაშველებლად.

— ლორი, ლორი, ნუ ჰკლავ... ჰყვიროდა... ეს სულ ჩემი ბრალია. მე მივსწერე იმას, რომ სამჭედლოსათვის გვჭირდებოდა. (თავის თავს შესწამა ეს ცილი). ამ სიტყვების დროს დედა-კაცი ქმრის მკლავებზედ იყო ჩამოკიდებული, შვილისკენ არ მიუშვებდა და ტირილით ბოდიშსა ჰსთხოვდა ქმარს.

ამ ალიაქოთზედ ბავშვები შეშინდნენ, ხომ არავინ მოგვიცვლედა

ნაწილთაგანი იცვლება და რომელი რჩება უცვლელად? რომელი ბრუნვა რომელ კითხვაზედ მიუგებს? რომელნი სახელნი იცვლიან დაბოლოებას ერთნაირად? როდისა თხოულობს შეთანასწორებითი ხარისხი მიცემითსა, ნათესაობითსა და როდის მახლობითსა ბრუნვასა? შეთანასწორებითი და აღმატებითი ხარისხნი იცვლიან დაბოლოებასა, თუ არა?

როგორ, სად იხმარება წერტილი და მძიმე? სად იხმარება კითხვითი და განკვირვებითი ნიშანი? რომელ ბრუნვაში იხმარება ხანდისხან ქართულ ენაში ქვემდებარე? რომელი სიტყვანი გამოხატავენ ქვემდებარეს, შესმენილს, დამატებას, განმარტებას და გარემოებას?

### III კლასი (ორი გაკვეთილი).

როგორი არიან ნაცვალ-სახელნი მნიშვნელობისა-მებრ თვისისა? რამდენი პირი აქვს ნაცვალ-სახელს? რა არის პიროვანი ანუ არსებითი ნაცვალ-სახელი? რა არის ჩვენებითი ნაცვალ-სახელი? რა არის კვლავ-მოღებითი ნაცვალ-სახელი? რა არის მოგებითი ნაცვალ-სახელი? რა არის კითხვითი ნაცვალ-სახელი? უკუნქცევითი? საზღვრებითი? განუსაზღვრებითი? რომელ ნაცვალ-სახელთა აქვთ საკუთარი კანკლედობა და რომელი იცვლიან დაბოლოებისა მსგავსად სხვათა სახელთა? როგორი არიან ზმნის-ზედანი მნიშვნელობისა-მებრ? რომელი ზმნის-ზედანი მიუგებენ კითხვაზედ-როგორი? რა არის ვითარებითი ზმნის-ზედა და როგორი დაბოლოება აქვს მას? საიდგან წარმოსდგება ვითარებითი ზმნის-ზედა? ვითარებით ზმნის-ზედას აქვს ხარისხი, თუ არა? რამდენი? რა არის დადებითი ხარისხი ზმნის-ზედისა? შედარებითი? აღმატებითი? რომელ კითხვაზედ მიუგებენ ზმნის-ზედანი, მაჩვენებელნი რაოდენობ-სა, დროისა და ადგილისა? კიდევ როგორნი არიან ზმნის-ზედანი? როგორნი არიან ზმნანი მნიშვნელობისა-მებრ? რა არის შემოქმედებითი ზმნა? ვნებითი? საშუალო? რამდენი პირი აქვს ზმნასა? რიცხვი? რა არის უღვლილება? რამდენ უღვლილებად განიყოფებიან ქართულნი ზმნანი? რით განირჩევიან ზმნანი პირველისა უღვლილებისა ზმნათაგან მეორისა უღვლილებისა?

რამდენი დრო აქვს და სქესი ქართულსა ზმნასა? რა არის აწმდგომი დრო?—ქმნილი სრული? ქმნილი უსრული? ნამყო-უსრული? ქმნადი პირველი და მეორე? რა არის განუსაზღვრებელი სქესი და რამდენი დრო აქვს მას? საზღვრებითი? ბრძანებითი და სათუვო? რომელი დრო რომელს რუსული ზმნის მეთორმას ეშესაბამება? რა არის კანონიერი ზმნა და უკანონო? რა არის პიროვანი და უპირო? რა განსავუთრებითი თვისება აქვთ ქართულთა ზმნათა? რა არის სხმით-გარდასვლითი ზმნა? მრჩობილსხმით—გარდასვლითი? რა არის არსებითი ზმნა? როგორნი არიან არსებითი ზმნანი? როგორ უღვლილდებიან ზმნანი საზოგადოდ? რომელი ზმნა და რომელი სქესისა მიუგებს კითხვებზედ: რას ვაკეთებ? რას ვაკეთებდე? რას გავაკეთებდი ანუ რა ვაკეთე? რა მექმნა ანუ რა მეკეთებინა? რა გავაკეთე? რა გამეკეთებინა? რა მიკეთებია ანუ რა მიქმნია? რა მექმნას ანუ რა მეკეთებინოს? რასა ვიქმ ანუ რას გავაკეთებ? რა ვაკეთო? რა გავაკეთო?

რა არის მიმღეობა? საიდგან წარმოსდგება მიმღეობა? როგორი არიან მიმღეობანი მნიშვნელობისა-მებრ თვისისა? რამდენი დრო აქვს მიმღეობათა? რამდენ-ნაირი ფორმა აქვთ მიმღეობათა—აწმდგომ დროში, ქმნილისა სრულისა და ქმნადისა მიმღეობანი როგორნი და რამდენ-ნაირნი არიან? რა არის სახელ-ზმნა?

რა არის თან-დებული? როგორი არიან თანდებულნი? როგორ იხმარებიან თანდებულნი ქართულ ენაში?

რა არის კავშირი? მათი ხმარება ქართულ ენაში.—რა არის შორისდებული? სად იხმარებიან ნიშანნი: ორი წერტილი? სამოწმებელი? ფრჩხილი?

რამდენი სიტყვის ნაწილია ქართულ გრამატიკაში? რომელი სიტყვის ნაწილნი იცვლიან დაბოლოებას და რომელნი არიან დაბოლოებითა უცვლელნი?

### IV კლასი (ორი გაკვეთილი).

რა არის ქართული გრამმატიკა? რამდენ ნაწილად განიყოფება ქართული გრამმატიკა? რა არის ეტიმოლოგია ანუ ლექსთა-წარმოება? რა არის ლექსთა თხზულება ანუ სინტაქსისი? რა არის მართლ-წერა ანუ ორფოგრაფია?

როგორი არიან წინადადებანი შინაარსით და ერთმანეთზედ დამოკიდებულობით? რა არის პირველი ხარისხის წინადადება? რა არის მეორე ხარისხის წინადადება? როგორნი არიან წინადადებანი ფორმისა-მებრ? რა არის პიროვანი წინადადება? რა არის უპირო—წინადადება? რა არის სრული წინადადება? რა არის ნაკლული წინადადება? კიდევ როგორნი არიან წინადადებანი? რა არის მოთხრობითი წინადადება? აღწერვითი?—კითხვითი?—ბრძანებითი?—გრამატიკული და ლოღიკური ხმის ამაღლება და დამდაბლება რით განირჩევიან ერთმანეთისაგან?

როგორ შეეთხზვიან ზედ-შესრულნი, ნაცვალ-სახელნი რიცხვითნი სახელნი და მიმღეობანი სახელთა არსებითთანა? როგორ შეეთანხმებიან რამდენიმე სახელნი არსებითნი ერთმანერთს მაშინ, როდესაც იგინი აჩვენებენ ერთსა და იმავე საგანს და ერთი მათგანი არის ამხსნელი მეორისა? რომელ ბრუნვაში იხმარება სახელი არსებითი, მაჩვენებელი საკუთრებისა? როდის მოეკვეთება ნათესაობითს ბრუნვას დაბოლოება? როდესაც ორნი ანუ მრავალნი სახელნი არსებითნი იხმარებიან ერთად, მაშინ ბოლო ამხსნელი სახელი არსებითი რომელ რიცხვში იხმარება? რომელ რიცხვში იხმარებიან სახელნი არსებითნი, მაჩვენებელნი ზომისა, წყვისა და წონისა? რომელ ბრუნვას თხოულობენ სახელ—ზმნანი? ლექსნი, რომელნიც მიუგებენ კითხვებზედ: სად? როდისა? რომელ ბრუნვაში იხმარებიან? და სხვანი.

ზოგნი ზედ-შესრულნი და მიმღეობანი რომელ ბრუნვასა თხოულობენ? როგორ იხმარებიან ანუ როგორ დაბოლოებას მიიღებენ ხოლმე ზოგიერთნი ვითარებითნი ზედ-შესრულნი, როდესაც მიეწერებიან ნივთსა? დასხვანი.

წესებითი რიცხვითი სახელი როდის იხმარება შემდეგ სახელი არსებითისა? როდის იხმარება რიცხვითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში და სახელი არსებითი სახელობით ბნუნვაში? რომელი რიცხვითი სახელი იცვლის დაბოლოებას მაშინ, როდესაც რამდენიმე არიან იგინი ერთად? და სხვანი.

სად და როგორ იხმარებიან პიროვანნი ნაცვალ-სახელნი? როდის იხმა-

---

სახლში და ერთ წუთის განმავლობაში—გარს შემოეხვივნენ დედ-მამას. მჭედელმა დიდის გაჭირვებით ძლივას ამოისუნთქა და მრისხანეთ, გაჯავრებით უთხრა ცოლს:

— ჰო! მაშ შენის მიზეზით დაბრუნებულა რაღა! მაშ კარგი, თუ ასეა აბა დარჩეს შენი შვილი შენთან... დაიძინე ახლა... დამშვიდებული იყოს, ხვალამდინ ვიფიქრებთ კიდე რასაც ვიზამთ!

მთელი ღამე დედამ შვილის გვერთ გაატარა, ეშინოდა ქმრისა, არა აუტეხოსრაო;

მზე დიდი ხნის ამოსული იყო, გარეთ სიცხე იდგა, სამჭედლოდამ ჩაქუჩების ხმა ისმოდა. არც მოხუცს მოუხუჭავს ღამე თვალი. მთელს დროს აქეთ-იქით დადიოდა ოთახში, მოუსვენრად იყო, აღშფოთებული. შვილმა რომ გამოიღვიძა, მოხუცი შემოვიდა იმის ოთახში. სახე გაჯავრებული ჰქონდა, მოჭმუხვნილი იყო. სამგზავრო ტანის-სამოსი ჩაეცვა; მაღალ ყელიანი წაღები, განიერი საზაფხულო ჩალის ქუდი. ხელში დიდი კომბალი ეჭირა—ბოლოზედ რკინის შუბი ჰქონდა. მივიდა შვილთან და უთხრა:

— აბა ახლა ადექ.

შვილი შეწუხდა ამ ტანის-სამოსით რომ დაინახა მამა, და მუნდირის ასაღებათ გაიშვირა ხელები, ჩაცმას აპირებდა:

— ამას ნუ იღებ, მრისხანეთ უთხრა მოხუცმა.

— მეტი არა აქვსრა, და აბა რაჩაიცვას, გააწყვეტინა სიტყვა ცოლმა.

— ჩემი ტანის-სამოსი ჩააცვი, მე აღარა მჭირდება.

სანამ ზუავის სალდათი მამის ტანის-სამოსს ჩაიცვამდა, მოხუცმა იმის მუნდრისა და წითელს შარვლის დაკეცა დაიწყო. როცა ჩაალაგა ერთათ, —სთქვა:

— ახლა წამოდით აქეთ, და ყველა მიჰყვა ხმა ამოუღებლათ მჭედლს სამჭედლოში. გახურებული მუშაობა იყო სამჭედლოში. ქრისტესია შევიდა თუ არა იქ, თავისი სიყმაწვილე მოაგონდა; შავ-ნაცარში ალმასებრივ ბრჭყვიალა ცეცხლის ნაპერწკლებს რომ ხედავდა ხოლმე და იმითი ჰხარობდა, ახლა ის დრო თვალ-წინ წარმოუდგა. საშინლად უნდოდა მამას გული მოებრუნებინა, როგორმე შერიგებოდა, ბოდიშის მოხდას აპირებდა, შეხედა მამას, მაგრამ იმის გამრისხანებული თვალი ისე უჭრიდა თვალს, რომ თავი ჩაღუნა და ველარა გაბედა-რა.

ბოლოს მჭედელმა ცოტათ დამშვიდებულის ხმით სთქვა:

— აი ეს სამჭედლო, თავის მოწყობილებით, დღეის იქით სულ შენია. აი ესეც შენია... დაუმატა მან, რამდენიმე წუთს შემდეგ და უჩვენა გაჭვარტლიანებულის კარებიდამ ლამაზათ მორთული ბაღი, რომელსაც მზე უხვათ ანათებდა და მრავალი ფუტკარი ბზუოდა.

— ეს სახლი, ეს ბაღი, ფუტკარი—ეხლა სულ შენია!.. გაუფრთხილდი ამათ; გაუფრთხილდი იმას, რაც შენ ულირსათ გრგებია! შენს ვალს, შენს მოვალეობას ახლა მე მოვიხდი, მე ამისათვის მოვემზადე წასასვლელად. შენი მოვალეობა იყო შენი სამშობლო ქვეყნისათვის, საფრანგეთისათვის კიდევ ხუთი წელიწადი გემსახურნა ჯარში, შენ არ შეასრულე ეს წმიდა მოვალეობა მამულის ერთგული შვილისა, მაშ მე წავალ და შენ სამაგიეროს გარდვიხდი და ამ ვალას შევასრულებ.

— ღორი, ღორი, რას ამბობ, სად მიხვალ, რას ჩადიხარ,—ყვიროდა გოლცებული და შეწუხებული იგივ ცოლი და იგივ დედა!

— მამავ, მამავ, ვედრებით ყვიროდა შვილი... მაგრამ არავის ვედრება არ შეიწყნარა მჭედელმა და ჩქარის ნაბიჯით, მამაცად, მხნედ გამოვიდა სამჭედლოდამ და შეუდგა გზას თავგადადებით ჩვენი ჭაღარა მოხუცი; ერთხელაც არ გაჩერებულა და არ მოუხედავს უკან. . . . . . . .
. . . . . . .

სიდი-ბელ-აბეს, სადაც იყო უმთავრესი კანტორა ზუავების ჯარებისა, მივიდა ორ-მოც-და თხუთმეტის წლის მოხუცებული კაცი და ითხოვა—თავის ნებით შესულ სალდათად ჩარიცხულიყო ზუავების ჯარში; ეს თხოვნა შეუსრულეს.

იმ მოხუცებული მამაცის სახელი თქვენ ხომ კიდეც იცით—ის იყო გამოპარული შვილის მამა.

ელ. ღ—სა.

რება ნაცვალ-სახელი თვისი? როგორ იხმარება ნაცვალ-სახელი თვით? რომელნი ნაცვალ-სახელნი შეიცვლებიან ზედ-შესრულად? და სხვანი:

როგორ შეეთხზვიან ზმნანი სხვათა სახელთა თანა? რომელი ზმნა რომელს ბრუნვასა თხოულობს? და სხვანი.

რაში მდგომარეობს ქართული ენის მართლ-წერა? რომელი ასონი გამოირიცხნენ ქართულისა ანბანიდგან და რით შეიცვალნენ იგინი? რომელი ასონი მოისმიან ლაპარაკში სხვანაირად და იწერებიან სხვა ნაირად? რომელი სიტყვანი არიან მსგავსნი გამოთქმითა და აღმნიშვნელნი სხვა და სხვა საგანთა და რით განირჩევიან იგინი? და სხვანი, და სხვანი.

ამ კითხვებზედ პასუხებს წინ უნდა უძღოდნენ, როგორც მასწავლებლის მხრივ, აგრეთვე მოსწავლეთა მხრივ, ზეპირი და წერითი მაგალითნი.

ქ. ზარაფოვი.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქმიბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათაყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათცყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ხარჯებით.

# განცხადებანი

იაფად ისყიდება მამული

თ. მიხეილ რევაზის-ძის ნიჟარაძისა სოფ. ოფიშკვეთში, 15 ვერსზე ქუთაისიდამ, ორ-ეტაჟიანი სახლი, ვენახი და სახნავ-სათესი ადგილები.

ამ მამულზე ბანკის ვალია 800 მან. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში პეტრე ტროფიმის-ძეს გორდიევსკის, რომელსაც მინდობილი აქვს ხსენებულ მამულის გასყიდვა.

ესევე მამული დანიშნულია გასასყიდლად აგრეთვე ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკისაგან და ვადა გასყიდვისა გამოცხადებულია გაზ. „კავკაზში".

(5—2) პ. გორდიევსკი.

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი



ბალზამ-ტონიკი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(150—119)

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

**ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები**

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (გურამიანი), თქმული დავით გურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

კაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

(5—2)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—15)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. | | | |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. | | | |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. | | | |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. | | | |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. | | | |
| ხაუჯეთუხო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. | | | |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—13)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—9)

ინგლისის მაღაზიაში.

სოფლისათვის მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამპები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ექსტრაქტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ. (10—9)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობაში მიიღება ხელის-მოწერით ფულის შეწირვა რუსის მწერლის ნ. ვ. გოგოლის სახელობაზე სასწავლებლის გასამართავად მირგოროდის უეზდში, სადაც ხსენებული მწერალი დაიბადა. ხელის-მოწერა მიიღება გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—3)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს [illegible] წიგნის მაღაზიაში იყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუჩოვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—97)

ჯანჯულაზოვების მოსკოველ მოვაჭრეების ვექილი

პ. მ. ლებედინსკი

ასრულებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. ადრესსი: გალავნის ქუჩ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს" სასტუმროში. (6—6)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года

на ежедневную газету

**„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ"**

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера.

(12—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი